ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 73

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის № 43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ შემადგენლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ შემადგენლობაში პირადი განცხადების საფუძველზე გაერთიანდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლაშა გვენეტაძე.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ შემადგენლობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გავიდა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შოთა ჯიმკარიანი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თამთა ბაკურაძე.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის №43 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (3 წევრი):

1. კუჭავა იოსები
2. ბაკურაძე თამთა
3. გვენეტაძე ლაშა“

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 73
25 06 2026 წ.

2. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თამთა ბაკურაძე, რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე /გიორგი ჭიღვარია